2 N 39.

№ 46. 29 თებერვალი, ოთხშაბათი. 6—1884 29 თებერვალი, ოთხშაბათი. № 46.

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე, რვა ხაზი, განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

„დროების" ფასი პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი.

სამინისტროსაგან შედგენილი ტყეების დაცვის პროექტი და ჩვენი სამეურნეო საზოგადოება

თბილისი, 29 თებერვალს.

ჩვენ გავაცანით მკითხველებს ის წესი, რა წესიც შეუმუშავებია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ ერთხმად მიიღო, რომ ეს წესი უსათუოდ ჩვენშიაც უნდა გავრცელდეს, რადგან ტყეები მეტის-მეტად უანგარიშოდ იჩეხება და წყვება და მათი დაცვა აუცილებელს საჭიროებას შეადგენსო. უმთავრესნი ცვლილებანი, რომელნიც სამეურნეო საზოგადოებამ კომისიის წარდგენით საჭიროდ დაინახა შეეტანა პროექტში, არიან შემდეგნი: პირველი კატეგორიის ტყეებს, ესე იგი, იმ ტყეებს, რომელთა ხმარება უპლანოდ აეკრძალებათ პატრონებს, უნდა მიემატოს ისინიც, რომელნიც მდინარეების სათავეებში არიან გაშენებულნი და რომელთ აჩეხას მათი დაშრობა მოჰყვება. ამ გვარსავე ტყეებში სამინისტროს პროექტით საქონლის ძოვნა აკრძალული არ არის და სამეურნეო საზოგადოების აზრით კი საქონლის ძოვნის ნება მაშინ უნდა იქმნას მიცემული, როცა ეს მავნებელი არ იქნება ტყისათვის. ამას გარდა, ის მუხლები სამინისტროს პროექტისა, რომელნიც შეეხებიან მეორე კატეგორიის ტყეებს, «საზოგადოების» აზრით, სრულიად გამოკლებულნი უნდა იქმნენ ქავკასიისათვის.

ამ უკანასკნელ საგანზედ ლაპარაკმა საკმაოდ ცხარე ბაასი გამოიწვია კრებაში. საქმე ის არის, რომ სამინისტროს პროექტის კვალობაზედ რომ დაიყოს ჩვენი ტყეები, პირველ კატეგორიაში მთიან ადგილში გაშენებულები მოექცევიან და მეორე კატეგორიაში კი ბარის ტყეები. კომისიის აზრით, პირველნი თითქმის ცხრა წილს შეადგენენ მთელს ქავკასიის ტყეებისას და უკანასკნელნი მხოლოდ მეათედს. რაკი პირველი ტყეების შესახებ იმისთანა სასტიკი წესები იქნება შემოღებული, საჭირო აღარ არის, რომ ბარის ტყეებზედაც გავრცელდენ ესეთი სასტიკი ზომები და ტყეების პატრონებს სრულიად ხელ-ფეხი შეეკრათ, მით უფრო რომ ბარში ტყეები ბევრგან სხვა-და-სხვა ავადმყოფობასა ჰბადებენ და ისე საჭირონი არ არიან ჰაეის გაუმჯობესობისა და მდინარეებისათვის, როგორც ტყეები მთიანი ადგილისა. მხოლოდ ერთი წევრი კომისიისა, ბ. ა. ბაქრაძე წინააღმდეგი იყო ამ აზრისა და ამბობდა, რომ კანონი უნდა ბარის ტყეებსაც შეეხებოდესო, რადგან, თუ ასე არ მოხდა, ვიდრე პირველი და მეორე კატეგორიის ტყეები ერთმანეთში განირჩეოდეს, შეიძლება ტყის პატრონებმა სრულიად ვაანადგურონ თავიანთი ტყეები, მეტადრე, რაკი ამ კანონის მოლოდინი ექნებათო. ძრებამ არ შეიწყნარა აზრი ბ. ა. ბაქრაძისა და მიიღო კომისიის გარდაწყვეტილება.

ამ სახით, თუ სამინისტრო დასთანხმდა ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთიან ალაგებში გაშენებული ტყეები მალე შეისვენებენ უწყალოდ მჩეხელებისაგან და ჩვენი ტყის მეურნეობა, ცოტათიც არის, გაუმჯობესდება.

ახლა გავსინჯოთ, ეს იმედი შეიძლება მართლა განხორციელდეს, თუ მხოლოდ ის ცვლილება მოგველის, რომ კანცელარიებს მეტი სამუშაო მიემატებათ, რამდენიმე ოზმა ქაღალდი მეტი დაიწერება და რამდენიმე მინა მელანი მეტი დაიხარჯება.

ვთქვათ, კანონი დამტკიცდა და მოველით მხოლოდ მის შესრულებას. ვისა აქვს მინდობილი—აღძრას საქმე რომელიმე ტყის აუცილებელ საჭიროებაზედ? ყოველს პირსა და დაწესებულებასაო, გვეუბნება კანონი, რომელსაც კი ეს საქმე შეეხება. კანონი ამ გვარად საქმის აშლის უფლებას ყველას აძლევს და გარდაწყვეტის უფლებას კი გუბერნიის სამმართველოს საზოგადო კრებას თანადასწრებით სახელმწიფო ქონებათა გამგებელისა, გუბერნიის მარშლისა და გუბერნიის საგლეხო დაწესებულების მუდმივის წევრისა. ამ კრების გარდაწყვეტილება მასუკან მინისტრმაც უნდა დაამტკიცოს. ამ გვარად გუბერნიის ქალაქში თავ-მოყრილ კრებას ეძლევა უფლება გარდასწყვეტოს იმისთანა საქმე, რომელსაც უეჭველად ეპირვება ადგილობრივი პირობების დაწვრილებითი ცოდნა. რასაკვირველია, ეს კრება ხშირად თეორიულის სჯით იხელმძღვანელებს და მის მოქმედებას ბევრი შეცდომაც მოჰყვება; და რა თქმა უნდა, რა კი საქმე ასე იქნება დაყენებული, ბევრი კერძო პირი მტრობით ან შურით მეზობელს დაავიდარაბას აუტეხს: «შენ რომ ტყესა ჭრეხ, მაგით ამა-და-ამ მდინარეს აშრობ, ჰაერს ახდენო და სხვ. და სხვ.» ამ სახით «კლიაუზების» მოყვარეთ მიეცემათ ახალი საზდო, ახალი ლონისძიება მეზობლის დაჩაგვრისა და დაძაბუნებისა.

ვთქვათ, რომ ჩვენი შიში უსაფუძვლოა და მეზობლები ბოროტად არ მოიხმარებენ მათდამი მიცემულს უფლებას,—ეს ხომ უეჭველია, რომ წესიერი პლანის შედგენა მეტად გაძნელდება მთიანი ალაგებისათვის და ამ პლანის შედგენამდე პატრონი გულ-ხელ დაკრეფილი უნდა იჯდეს და საცოდავად შესცქეროდეს თავის ტყეს, რომელშიაც ერთის წკეპლის მოჭრის ნებაც არ ექნება. (შესაძლებელია თუ არა ამ გვარი თვალ-ყურის დაჭერა,—ამას მასუკან დავინახავთ). ამას გარდა, თუ ტყის პატრონმა ვერ შეძლო თავის ტყეში რიგიანი წესების შემოღება, იგი იძულებული ჰხდება თავისი ტყე ხაზინას დაუთმოს გარდაწყვეტილი ფასის მიღების შემდეგ. აი, კიდეც ეს «გარდაწყვეტილი ფასი» დაუბნევს დავთრებს ჩვენი ტყეების პატრონებს. გარდაწყვეტილი ფასი მხოლოდ დაფასებით დაედება და რა საფუძველი ექნება ამ დაფასებას, თუ არ შემოსავალი? ყველამ ვიცით, რა შემოსავალნიც შემოსდით მამულის პატრონებს ტყეებისაგან. ბევრგან სამი და ოთხი ათასი თუმნის ტყეებს ოცი და ოც-და-ათი თუმანიც არ შემოაქვთ და, რაც გინდა მცირე პროცენტად იანგარიშოთ ეს შემოსავალი, მაინც ძალიან მცირე ჯამი შესდგება და მამულის პატრონები მეტის-მეტად დაიჩაგრებიან.

ვთქვათ, რომ ესეც კიდევ არაფერია, რომ ქვეყნის სიკეთის გულისათვის არა დაშავდება-რა, თუ რომელსამე მემამულეს ევნება-რამ, ან თუ ორიოდ დავიდარაბით მეტი ატყდება უწინდელზედ, მაგრამ ჩვენ იმისი გვეშინიან, ვაი თუ დაშავდეს კიდეც, დავიდარაბაც ატყდეს და ქვეყნის სიკეთის გულისათვის-კი არაფერი გაკეთდეს და ტყეებში უწინდებურად უწყალო წალდებმა და ცულებმა ინავარდონ. ამის შიში იმიტომ გვაქვს, რომ პლანების შედგენა გაუმჯობესებ მამულებისათვის ჰაერში კოშკების შენებას დგემსგავსება და თუნდა პლანებიც შესდგეს, ზედამხედველობა მეტად გაძნელებული იქნება.

მართლაც, ეს უკანასკნელი საქმე ექნება მინდობილი სახელმწიფო ქონებათა გამგეობას, რომელსაც თავის ტყის ზედამხედველების (лѣсничій) შემწეობით უნდა ყველგან თვალ-ყური დაიჭიროს. ეხლა თითო ტყის ზედა-მხედველს, ერთმანეთზედ რომ ვიანგარიშოთ, 65,000 კვადრატული ვერსი აბარია და თუნდა ამ კანონის დამტკიცების შემდეგ ტყის ზედამხედველების რიცხვი გაორკეცონ, მაინც ყოველად შეუძლებელი იქნება ამოდენა მანძილზედ რიგიანი თვალ-ყურის დაჭერა.

სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე დაყენებული, რომ ჩვენში ერობა იყოს; მაშინ ეს ყოყელივე საერო გამგეობას მიენდობოდა, რომელიც უკვდაც იცნობს ადგილობრივ გარემოებათა, მეტი შეძლებაც აქვს ზედამხედველობისა და მეტი გავლენაც ადგილობრივ საზოგადოებაზედ.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲫᲠᲝᲮᲜᲘᲡᲐ

ბ-ნი Კ. ᲣᲐᲠᲘᲔᲒᲘ გვატყობინებს, რომ ს. ᲗᲝᲜᲔᲗᲨᲘ «წერა-კითხვის საზოგადოების» მიერ დაარსებული სკოლა ეხლავე იზიდავს ხალხის ყურადღებას ᲓᲐ თანაგრძნობას. არამცთუ პატარა ბავშვები, დიდებიც კი მოწადინებულნი არიან სწავლისაო. ხალხი, იმის მაგიერ რომ დუქნების წინ იკრიფებოდეს სალაყფოდ, როგორც ჩვეულება ჰქონოდათ აქამდე, დღეს სკოლის კარ-წინ იკრიფება ყოველ-გვარ სასოფლო საქმის გადასაწყვეტად და მოსალაპარაკებლად.

ჩვენის ფიქრით, მადლობის ღირსია მასწავლებელი სკოლისა ბ. ᲭᲘᲚᲐᲫᲔ, რომ მისის მეოხებით მოკლე ხანში სკოლამ ასეთი თანაგრძნობა შეიძინა სოფლისაო.

ᲑᲔᲓᲙᲠᲣᲚᲡ და დაუსრულებელს ᲖᲝᲠᲘᲡ ხიდს ძნელი საქმე დამართვნია—მოკლე მოსულა, ასე რომ თავსა და ბოლოსა და წყლის ნაპირებს შუა კარგი მანძილი მტკვარს უჭირავს თურმე. მართალია, ამ ხიდის პროექტის შემადგენლებს—ჩვენებურ ლესეპსებს—«ხიდნი წყალთა ჩასცევნიათ», მიგრამ აბა ᲖᲝᲠᲘᲡ მაზრის გლეხ-კაცობა რას გააკეთებს ამ გამოზაფხულებულზე ᲖᲝᲠᲘᲡ ხიდზე უკეთესს: შეყრილა თითქმის მთელი მაზრა, უსაჭმლობისაგან დამხდარი საქონლით ეზიდება თურმე ქვასა და ჭყრის ხიდისა თავსა და ბოლოში ამოსავსებლად. სასაცილო და თან სამწუხარო ის არის, რომ თუმცა ქალაქმა ᲖᲝᲠᲛᲐ ერთი გროშიც არ გაიღო ამ ხიდზედ—სულ საერო ფული დაიხარჯა, თუმცა მარტო მაზრის გლეხ-კაცობა «პირს უქნის» ამ ხიდს და ქვებით უსვებს თავსა და ბოლოს, მაგრამ ხიდი მაინც ᲖᲝᲠᲘᲡᲐᲐ, შემოსავალიც ᲖᲝᲠᲛᲐ უნდა იღოს და იმა-

ᲔᲔ გლეხ-კაცობამ, რომელმაც ფულიც გაიღო, მუშაობაც არ დააკლო და საქონელიც ზედ შეახოცა, უნდა იხადოს ყოველ ურმის გატარებაზედ რამდენიმე შაური ᲑᲝᲠᲘᲡ ქალაქის სასარგებლოდ!!

ᲚᲘᲐᲮᲕᲘᲡ შემაგრებასაც შესდგომიან; შინაურულ დამბას უკეთებენ... ᲑᲒᲝᲜᲘᲐᲗ გორელები? ᲐᲠᲐ, ისევ სოფლელი გლეხ-კაცობა, თუმცა, ღვთის წინაშე, ᲑᲝᲠᲘᲪ დახმარებია... ᲝᲠᲛᲝᲪᲘ თუმნით (!!) იქ, სადაც სამუშაო თითქმის ხუთას-ექვსას, თუმნისაა, თუ არ მეტისა. ᲑᲝᲠᲘᲡ ხიდზე ათასში ერთხელ კიდევ გაივლის გლეხ-კაცი, მაგრამ, ნეტა რა შეემატება იმით, რომ ᲚᲘᲐᲮᲕᲘ მირიმანოვებისა და ᲣᲐᲖᲐ-ᲥᲐᲠᲐᲞᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲡ სახლებს ააცილოს?!!

ᲩᲕᲔᲜ გვატყობინებენ, რომ ამას წანად ტამოჟნისგან დაჭერილი კონტრაბანდის საქონლის სიას ადგენენ და აფასებენ კიდეც. ᲢᲐᲛᲝᲜᲘᲡ გამგეობას გონიერული განკარგულება მოუხდენია, რომ საქონელი თითო ნაჭრობით დაფასდეს და არა პარტიობით, რადგანაც პარტიობით გასყიდვის დროს ხალხი მონაწილეობას ვერ მიიღებდა და საქონელი უფრო ნაკლებ ფასად გაისყიდებოდა.

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ აუქციონის კამერის ნაფიცი დამფასებელი აფასებს, მაგრამ, როგორც ამბობენ, სრულიად არ ესმის თავის ხელობა და საქონელს ისე ნაკლებ ფასს სდებს, რომ ეს ფასი ტამოჟნის ხარჯსაც ვერ აუვაო.

«ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲘ» ამბობენ, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თაოსნობით მთავრობას განუზრახავს გააუმჯობესოს ბამბის მოყვანა კავკასიაში. ᲐᲛ აზრით უნდათ გაავრცელონ ხალხში საუკეთესო ბამბის თესლი და გააცნონ უკეთესი წესი ბამბის მოყვანისა და შეშუშავებისა. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ მოდის ეხლა თურმე 300,000--400,000 ფუთი ბამბა.

ᲑᲐᲖᲔᲗᲘ «ᲛᲨᲐᲙᲘ» აცხადებს, რომ, რადგან იმის რედაქტორს ბევრი საკუთარი საქმეები გაუჩნდა, ეს გაზეთი დრომდე კვირაში ორჯერ გამოვა და არა უწინდებურად ხუთ-ჯერ.

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ შეცდომის გასწორება. 43 №-ში, ფელეტონში «ბიბლიოგრაფია» შეცდომით გეოგრაფიული წერილების ავტორად ნახსენებია «ბ. ᲫᲐᲛᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ» და უნდა-კი იყოს «ᲕᲐᲮᲜᲐᲫᲘᲐᲜᲔᲚᲘ».

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

ს. ᲥᲕᲘᲨᲮᲔᲗᲘ, 25 თებერვალს. საბრალო გლეხ-კაცობას ხან-და-ხან ისეთი ბძანება გაუყტვრება ხოლმე, რომ თავ-ზარ დაცემულებმა არ იციან, ვის მიჰმართონ, ვის შეატყობინონ თავიანთი გასაჭირი.

ᲑᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ მოტანებულია, გაცხარებული მუშაობა დღეს თუ ხვალ უნდა დაიწყონ; საქონელი ხანგრძლივი ზამთრისა და საკვებავის გამოლევის მიზეზით ძლივს დაულოღიალებთ: — სასყიდელიც რომ იშოვებოდეს, ფული არსად არის;—და ამ გაჭირვებაში რას მიაწყდენ, რომ არ იცან, — მეხივით ბავს დაეცათ ამისთანა ბძანება:

«ᲫᲕᲘᲨᲮᲔᲗᲘᲡ საზოგადოებამ უნდა წარადგინოს 12 მარტს, საღამოზედ, **ᲑᲝᲠᲨᲘ** ხიდთან და იქ მამასახლისმა ჩააბაროს მაზრის უფროსის თანაშემწეს 26 მუშა და 13 ურემი, ორი დღის საგძლით».

ᲐᲮᲚᲐ ეს წარმოიდგინეთ:

ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲑᲝᲠᲐᲛᲓᲘᲡ გზას მოუნდებიან ორ დღეს; იქ ორ დღეს და იქიდამაც ორ დღეს, სულ ექვსს დღეს. მუშა კაცი თავის საგძლით სამ აბაზზე ნაკლებ ხომ არ ჩავარდება. 26 კაცი, ექვსი დღით და დღეში თითო 60 კაპეიკად, გამოდის 93 მანათი და 60 კაპეიკი;—ურემი, საქონელს რომ საკვებაი შინაც ალარა აქვს, და გარედ რომ თუ არ მამასისხლად, ვერსად იშოვება, დღეში მანათ-ნახევრად მაინც უნდა ჩავარდეს;—13 ურემი 6 დღეს დაჯდება 117 მანათი. ᲡᲣᲚ მოსდის სოფელს ხარჯი 210 მანათი და 60 კაპეიკისა; მერე რა სოფელს, სადაც არის მოსახლე 109 კომლი; მაშ კომლზედ მოსდით ხარჯი თითქმის ორი მანათი!!

ᲡᲝᲤ. ᲐᲮᲐᲚ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, 18 თებერვალს. (ᲑᲝᲠᲘᲡ მაზრა). ᲔᲠᲗᲐ-ᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ სამამასახლისოს (ამ სამამასახლისოში 160—200 კომლამდეა) 14 თებერვალს დილით ეწვია ყაზახის სოტნა ქურდობის თაობაზედ ეგზეკუციად. Თ. მიხეილ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲛᲐ მისვლის უმალ გამოუცხადა ᲔᲠᲗᲐ-ᲬᲛᲘᲜᲓᲔᲚᲔᲑᲡ, რომ ეგზეკუცია გამოგზავნა ᲑᲝᲠᲘᲡ მაზრის უფროსმა მისთვის, რომ წარმოუდგინოს მას საზოგადოებამ რამდენიმე ქურდი, შეადგინოს წარმოდგენილ ქურდებზედ განაჩენი, რომლის ძალითაც იმათ ციმბირში გადაასახლებენ; დანარჩენი შენიშნული კაცები დააყენონ თავდებად ე. ი. თუ ამას იქით დაიკარგება რამე, თავდებებმა ან ქურდი უნდა იპოვონ, ან თითონ გადიხადონ. ᲡᲐᲛ დღე და ღამეში რის წვალებით და ვაი-ვაგლახით ᲔᲠᲗᲐ-ᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ საზოგადოებამ წარმოადგინა გასაგზავნად ხუთი კაცი. ᲐᲛᲘᲡ შემდეგ ეგზეკუცია, 17-ს, სხვა სოფლებში წავიდა.

ᲔᲠᲗᲐ-ᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ საზოგადოებას ეს ეგზეკუცია დაუჯდა 713 მანათი, ხუთ შაურ ნაკლებ. ᲐᲥ არა ვთქვა იმ ფულს, რაც გზის ხარჯად მოუნდებათ იმ ხუთ კაცს (100)).

ᲔᲒᲖᲔᲙᲣᲪᲘᲐᲓ მოსული სულ არ იქნებოდა ას-ათი კაცი. Და მე, მგონია, რომ თითო კაცზედ ოთხი აბაზის მეტი ხარჯი არ უნდა მოსელოდა საზოგადოებას დღეში, ე. ი. სამ დღეში სულ 264 მან. მაგრამ რაზედ და რად დაიხარჯა ამდენი, ეცოდინება მამასახლისს და სოფლის მოსამართლეებს. მაგ., ფუთი ქერი 3 მ. 50 კაპ. არის ნაჩვენები, მაზანდა კი 2 მანათზე ნაკლებია.

ᲡᲣᲚ რომ ასე ასახლონ, მარტო ᲑᲝᲠᲘᲡ მაზრა კი მოზდილს ქალაქს განაშენებს ციმბირში და იმ ქალაქს უნდა «ᲥᲐᲗᲛᲘᲡ-ᲞᲐᲠᲘᲐ» ქალაქი დაერქვას, რადგანაც გლეხ-კაცობა თავ ქურდებს არ უჩვენებს; ეს უკანასკნელნი «ᲚᲘᲢᲠᲘᲡ კაცები» არიან, სახელმწიფო ხარჯს 30 მანათამდის იხდიან და ამათ სოფელი ადვილად ვერ გამოიმეტებს.

ᲔᲒᲖᲔᲙᲐᲪᲘᲐᲛ ის სარგებლობა მოუტანა სოფელს, რომ 813 მან. დაიხარჯა და ამდენს საფასურს ქურდები ათ წელიწადშიაც ვერ მოიპარაედენ. ᲐᲛ სოფლის ხალხი მეტად გაღარიბდა, საქონელის საჭმელი ალარა აქვს. ერთი გლეხ-კაცი ლაპარაკობდა: «ერთი ურემი თივა მქონდა, ისიც ცხენებს დაუყარეს, ისე დამიხოცონ ხარები, ისა სჯობიან». ᲐᲛᲐᲡ გარდა, ამღვრეულ წყალში ოსტატები ხელებს აფათურებენ, ჯიბეებს ივსებენ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, განაჩენებს ძალა-დატანებით არ ადგენენო. მაშ რა ჰქვიან ამას, თუ ძალა-დატანება არა, როდესაც ეგზეკუცია სდგება სოფელში და არ მიდის, ვიდრე ქურდებს არ ჩააბარებენ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის შემწეობით გამოვუცხადო მადლობა «ᲜᲝᲑᲐᲗᲘᲡ» რედაქციას თავისი ჟურნალის უფასოდ გზავნაზე ახალ-ციხის საქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთათვის. ᲐᲛ, დიახ, საქებურ საქმეს მივაქცევ მკითხველების ყურადღებას არა მარტო იმიტომ, რომ ეგეთი მცირე შეწირვითაც ბევრს ღარიბს მოზადრს ქართველს მიეცემა საშუალება გონების განვითარებისა და სამშობლო ენის შესწავლისა,—უფრო მიტომ, რომ ეს შეწირვა ეკუთვნის ღარიბს რედაქციას, და არა შემძლებელს კაცს.

მაგრამ სკოლისათვის სასარგებლო ჟურნალის შეწირვას როგორ უნდა მოველოდე აქაურ შემძლე ქართველებისაგან, როდესაც ამათში ბევრმა არც-კი იცის, «ᲜᲝᲑᲐᲗᲘᲡ» ხსენება, ვინც იცის კიდევ, თავის შვილებისათვისაც არ იწერს.

ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘ, რომელთ ბევრი საქებური მოქმედება წაბაძვის ღირსია ქართველების მხრივ, ასე როდი იქცევიან! Იმათში იშვიათი არ არის კერძო პირისაგან შეწირვა სასწავლებლის სასარგებლოდ ანათუ — რომელიმე ჟურნალისა ან გაზეთისა, ფასიანი ბილეთებისა და ას თუმნობით ფულისაც კი. ᲧᲕᲔᲚᲐ ეს კარგად იცის, ვინც ადევნებს თვალს სომხურ გაზეთებს. მე მარტო დავასახელებ, რაც ამ გვარი ხდება ჩვენ პატარა ახალ-ციხეში: აქაურ სომხების სასწავლებელს თითქმის ყოველს წელს სწირავენ კერძო პირები სამოც თუმნამდის ფულს და უწერენ რამდენსამე ეგზემპლიარს პედაგოგიურ ჟურნალს. Ჩვენში კი აბა სადა ვხედავთ ამისთანა მაგალითს!...

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ.

22 თებერვალს.
ქ. ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

ᲕᲘᲡაც კი მცირეც არის გონება უჭრიდა და გული შესტკიოდა თავის სამშობლო ქვეყნისა და ხალხისათვის, ის ცხადადა ჰხედავდა, სად მიჰყავდა ქართველი ხალხი უსწავლელობას და ცოდნით სხვა ხალხებთან უკან ჩამორჩენას. Როგორც ვიცით, ქართველი ხალხი მომეტებული ნაწილი არის სოფლელი ხალხი, და ქალაქ ადგილებშიც ვინც ქართველობა სდგას, ძალიან მცირე შემძლებისანი არიან. Ის სასწავლებელნი კი, რომელნიც ცხოვრებაში გზას უხსნიან და აძლევენ ხალხს საკმაო ცოდნას, ქალაქებში არიან და თხოულობენ შვილების აღზრდაში საკმაო ხარჯს. Ჯერ ესეც საკმაო იყო, რომ ქართველი ხალხი უკან ჩამორჩომილიყო სწავლაში. Ამას დაერთო ახლა კონკურსით ყმაწვილების მიღება სასწავლებლებში და ამან ხომ სულ ბოლო მოუღო...

Ცხადი საქმე იყო, რაც მოსდევდა ამ გარემოებას იმ დროში, როდესაც მთელი კაცობრიობის პროგრესის ჩარხს აბრუნებს თითქმის მხოლოდ სწავლა და მეცნიერება. Მხოლოდ სწავლით და ცოდნით-ღა შეიქნა შესაძლებელი ქვეყანასთან, მხარ-და-მხარ მიყოლა, ქვეყანაზედ ცხოვრება.

Ვიმეორებთ კიდევ, ვისაც გონება ბრმად არა ჰქონდა და გულის მაგივრად არ ედო თვით გარყვნილება, ის ჰხედავდა, სადაც მიჰყავდა ამ გარემოებას ხალხი: ის ჰხედავდა ზნეობით ხალხის დამახინჯებას, ჰხედავდა სხეულითა და აგებულებით გაწრიოკებას, ჰხედავდა, რომ მომეტებული ნაწილი მამულებისა გადადიოდა უცხო ტომის ხელში და, როგორც ამბობს გენერალი Ф-ადეიევი, არ იყო შორს ის დრო, როდესაც თითქმის მთელი ქართველობის მამულები გადავიდოდენ სხვათა ხელში. Ამას რაც მოსდევდა, ის ყველასთვის ადვილი მისახვედრია!

Ამის საშველად ამგვართა პირთა ჰპოვეს დღეანდელს გარემოებაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთად-ერ-

თი საღსარი: რომ თავად-აზნაურობას მაინც არის დაედო თავის თავზედ ხარჯი და გაემართა საკუთარი გიმნაზია, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო—საკმაო რიცხვს ჩვენი შვილებისას მიეღო რიგიანი და ცხოვრებაში გამოსაყენებელი სწავლა.

როგორც ვიცით, ეს საქმე აღძრა ბორის თავად-აზნაურობამ და მასუკან თვით მთელი გუბერნიის თავადაზნაურობათა ყრილობაშიაც მიღებულ იქმნა.

მიდგა საქმე ფულის გაწერაზედ. ბუბერნიის კრების პროტოკოლებიდამ, ძველი გამოსარკვევი იყო: ჯერ რაოდენი ფული იყო საჭირო ამ საქმისათვის, მემრე რაოდენი რომელს მაზრას უნდა გასწეროდა. ამ გარემოებაში ჩავარდნილს მაზრის ყრილობებს და მათგან ამორჩეულს კომისიებს დარჩენოდათ—თვით აეწონ-დაეწონათ, რაოდენი ფულიც იყო საჭირო და თავისის სინიდისისამებრ ეკისრნათ თავიანთ მაზრისათვის შეძლებისამებრ გადასახადი.

ბორის მაზრის თავად-აზნაურთა ყრილობა და მისგან ამორჩეული კომისია სწორედ ასე მოიქცა. როგორც ვიცით, გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობის—სადაც სამწუხაროდ მარტო შეძლებულნი იკრიბებიან—პროტოკოლის ძალით ორმოც თუმანზედ მეტის გაწერა არაფიზედ არ შეიძლებოდა. ამის გამო გარდა იმ პირთა, რომელთაც მეტი შეეძლოთ ორმოც თუმანზედ, ყველას გაეწერა იმოდენა ფული, რომელზედაც მეტის გაღება იმათ შეძლებიდამ აღარ მოითხოვებოდა, და ყრილობაცა და კომისიაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სხვა მაზრაშიაც ამ გვარად შეჰხედავდენ საქმეს.

ცხადი საქმეა, და მოსალოდნიც იყო, რომ ყველა მაზრები ამ გვარადვე შეჰხედავდენ საქმეს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმ გვარმა დარბაისელმა კრებამ, როგორც გუბერნიის ყრილობამ გადასწყვიტა ეს საქმე წმინდის გულითა; მეორეც ესა, ამ გადაწყვეტილებას სახეში ჰქონდა, რომ ჩვენი შვილების საკმაო რიცხვს შეძლება ჰქონოდა რიგიანი სწავლა მიეღო და ამით ჰშველებოდა რამე ჩვენს დაცემულს ცოდნას და ეკონომიურს მდგომარეობას. და ყველა ესე შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ვაწერილი ფულიდამ შესდგებოდა იმოდენა თანი, რომლის სარგებლით ერთი რიგიანი სასწავლებლის შენახვა მაინც შეძლებულიყო და ამ სასწავლებელში ერთი ორასიოდე შეუძლებელი პანსიონერი გაზდილიყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ისმის, რომ თბილისის მაზრის კომისია, მეტად მცირე ფულს აკისრებს თავის ამამრჩევლებს გადასახადად, ამ გვარად შეკრებილი ფულიდამ, რამც—თუ რიგიანი აღმზრდელი და მოსწავლეთა საკმაო რიცხვის შემნახველი სასწავლებელი არ შესდგება,—ის თავად-აზნაურთა ორ-კლასიანი სკოლაც არ შეინახება, რომელსაც დღეს ბანკის დიეიდენდი ინახავს.

რომ მცირედაც არის აკმაყოფილებდეს ამ საჭიროებათა, საჭიროა მთელი გუბერნიიდამ საოც-და-ათიათასი თუმანი მაინც შესდგეს. ეს ფული შესდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მაზრა გაიწერს ფულს ისე შეძლების და ვვარად, როგორც გაიწერა ბორის მაზრამ. როგორც ვიცით, ყველა მაზრები ბორის მაზრაზედ უფრო შეძლებულნი არიან.

ერთი წევრთაგანი ბორის კომისიისა.

«დრამატიულის საზოგადოების» მმართველობას.

ყველამ კიცით, ქართული თეატრის საქმე რა ცუდს მდგომარეობაშია. ჩვენში თეატრის მზრუნველად არსებობს «დრამატიული საზოგადოება». აი მისი მოქმედება და გამჭრიახობა ახლა უფრო ეტყობა ჩვენს დაცემულს თეატრს, კიდრე როდისმე. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ საზოგადოების მმართველობა ეურსაც არ იბერტყავს და, როგორც გვესმის, თავდარიგს არ იჭერს საზოგადო ყრილობის მოწვევისას. ამ გვარი უთავურობა მმართველობისა ძალიან ცუდს სმებს აჩენს. მაგალითად, ბევრს ლაპარაკობენ, რომ ყოველი საქმეები საზოგადოებისა, მიწერ-მოწერა, დოკუმენტები, გარდერობი, რეკვიზიტი, დეკორაციები, ბიბლიოთეკა ფული და ყოველივე ანგარიში არც ერთმა წევრმა მმართველობისამ არ იცის, რა მდგომარეობაშია; ლაპარაკობენ, რომ გარდერობი განაწილებულია, ზოგი რამ გაუტან-გამოუტანია და დაუსაკუთრებიათ რამდენთამე; ამას სულ ამბობენ და ამბობენ. მმართველობას კი პირი მოუკუმავს, არაფერს არ ეფიქრობს. ვთქვათ, რომ ეს ჭორებია და უურადღების ღირსი არ არის, მაგრამ რად ეწევა ამ ჭორების გაჩენას, რატომ არა სურს მისი მოსპობა? რა ტომ არ უნდა ჭეშმარიტება აცნობოს საზოგადოებასა?

ანატომ არ ნიშნავს საზოგადო ყრილობას? ამ მმართველობაში ითვლება საკმაო ოიცხვი პატივცემულ პირთა: თ. რაპელ ერისთავი, თ. ილია ჭავჭავაძე, თ. დავით ავალოვი, ნიკოლოზ ქანანოვი მისეულ ეთვანი, კოსტანტინე ეთონი და, ვგონებთ, კიდევ სხვანიც, რომელნიც არ გვახსოვს.

ამ პირებმა კარგად იციან, რომ საზოგადო საუკეთესოა მათდამი მიმართული.

ნუთუ ამ პატივცემულ პირთა ჭსურთ «დრამატიულის საზოგადოების» დამარხვა ამ ბრალეულობას კისრულობენ! ეს არ უნდათ ამ პირებს. ორმა და მმართველობაში მონაწილეობის მიღება, მათი უპირველესი კალია შეჰკრიბონ საზოგადო ყრილობა, წარუდგინონ თავიანთ ანგარიში და თავი დაუკრან. საზოგადოებას ღონის-ძიება უნდა მისცენ მაინც, რომ მათ ნაცვლად სხვანი ამოარჩიონ.

უმორჩილესად ვსთხოვთ «საზოგადოების» მმართველობას, დაგვინიშნოს საზოგადო ყრილობა. აგვიხსნას ბეჭდვით და გაგვაგებინოს, რას აპირობს. უმორჩილესად და უმდაბლესად ვთხოვთ,—რომ საკრეტარს მაინც კალად დასდვას ცნობის მოტემა.

თეატრის მოყვარე.

უცხოეთი

—

— გენერალი გორდონის პროკლამაციამ, რომელშიაც აღიარებულია მონებით კაჭრობის თავისუფლება, მთელი განათლებული ევროპა გააოცა და, როგორც ჩვენის გაზეთის წინა №№-შიც გამოვსთქვით, დიდ-ხანს არავის სჯეროდა, თუ გორდონი—ეს მოსისხლე მტერი მონობისა—ამას მოიქმედებდა. ბოლოს ეს ამბავი ნამდვილი გამოდგა და საშინელი უგმაოფოდება აღძრა გაზეთებში გორდონისადმი; თვით გორდონსაც მრავალი წერილები მისწერია ამ საქმის თაობაზე ინგლისიდგან, საიდანაც პასუხსა სთხოვენ მას იმაზედ, თუ რას ნიშნავს მისი მოქმედება მონებით კაჭრობის შესახებ.

გორდონს პასუხად მიუწერია, შემდეგი წერილი, რომელიც გაზ. «ტაიმსშია» დაბეჭდილი:

«აი ჩემი პასუხი:—მისი დიდებულების, დედოფლის, მმართებლობამ სურვილის სრული თანხმობით გადასწყვიტა მოაშოროს სუდანი ეგვიპტეს. ორთავე მმართებლობამ გამოგზავნეს მე სუდანში, მომანდეს გავატარებინო ეს მსარე და ადგილად ინ ადგილობრივი გამგეობანი. ახლა გკითხავთ მე—თქვენ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავით, რა პასუხს მოგცემდით ამ კითხვაზე: მის დიდებულების მმართებლობას ჭსურს, თუ არა დაიცვას ის ტრაქტატი, რომლის ძალითაც მონების განთავისუფლება 1884 წელში უნდა მომხდარიყო.

გეუბნებით, რომ, რამდენადაც საქმე მე შემეხება, ამ პარაგრაფს ტრატატისას მტკიცედ ვადგევარ და მონობის-მფლობელობას წინააღმდეგობას არ გაუწევ. მე არ შემიძლიან პასუხი კაგო იმაზედ, თუ როგორ გარდასცემს ჩემი პროკლამაცია აქედამ ინგლისში, რადგანაც ჯერ ეს ერთი, რომ იმ პროკლამაციის შინაარსი მე პირად ვუთხარი ტელეგრაფით ინგლისში გარდასაცემად და მეორეც ესა, რომ ძალიან შესაძლებელია იმის აზრი დამახინჯებულიყოს, როდესაც პრესაში ენიდგან გადასთარგმნიდენ.

მაგრამ აი რას გეტყვით საქმის შინაარსზე: თქვენ არა სცხრებოდით და განუწყვეტლივ იმაზედ ლაპარაკობდით, თუ რა შაში მოელის ხართუმს და რა ძნელია გარნიზონების უკან წამოსვლა. ვთქვათ, ამ საქმეს მე სხვაფრივ ვუცქერი—ამისგამო განა მე უფლება არა მქონდა დამემტკიცებინა ის, რასაც სუდანის მცხოვრებლები ფიქრობდენ, და გამომეცხადებინა, რომ სუდანის ეგვიპტიდგან განცალკევებასთან ერთად ძალას ჭკარგვენ ყველა ის ტრაქტატები, რომელნიც ოდესმე ყოფილან დადგენილნი კაირსა და უცხო-ქვეყნულ მმართებლობათა შორის?

აქ იმასაც დავუმატებ, რომ მონების უსასყიდლოდ განთავისუფლება მე ყოველთვის მონების-მფლობელობის ტარცვად მიმაჩნდა. როდესაც ამას კაშბობ, მე შემიძლიან ამის საფუძვლად ვიქონიო 1883 წ. პარლამენტის გარდაწყვეტილობა, რომლითაც პარლამენტმა 20,000,000 გირ. სტერ. დანიშნა ვესტ-ინდოეთში მონების განსათავისუფლებლად. მეორე მხრივ მე მტკიცედ კარ დარწმუნებული, რომ 1877 წლის ტრაქტატი, რომლის ძალითაც მონობის-მფლობელობა სუდანში უნდა მოსპობილიყო 1884 წელსა, ჯერ კიდევ ვერ შესრულდებოდა.

მე რომ მონებზე ნადირობის ნება მიმეცა, მაშინ სრული საფუძველი გექნებოდათ ჩემზედ ჯავრობისა, მაგრამ მე ნამდვილად მარტო მონების-მფლობელობის ნება მიეცი. მიკვირს, რად იკუნტებთ იმ ფაქტს, რომ, როდესაც პირველად მე სუდანის გენერალ-გუბერნატორად ვიყავი, მაშინაც არა ვმოქმედობდი მონობის-მფლობელობის წინააღმდეგ და არც უფლება მქონდა იმისი იმავე ზემოსსენებული ტრაქტატის ძალით, რომელზედაც ეგვიპტის მმართებლობას უწერია ხელი. მე რომ მონები ყოველთვის მიმაჩნდა მათი მფლობელების საკუთრებად, ეს შეგიძლიანთ დაინახოთ იქიდამ, რომ მე ბევრჯელ მიყიდნია მონები ფულით და ამ გვარად გამამთავისუფლებია იგინი მონობიდგან.

რაც შეეხება მონებზე ნადირობას, მენდეთ მაგაზე, რომ მე ისეთივე მტერი ვარ ამ ხელობისა, როგორიც ყოველთვის ეუოფილვარ, და შეწევნითა ღვთისათა მოვიცემ ღონეს მის განსარინებლად».

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის საგენტოსი».)

27 თებერვალს.

ბერლინი. აქ მოსულმა დიდმა მთავარმა სერგი ალექსანდრეს-

ძემ ნახა იმპერატორი ვილჰელმი და მასთან ერთად ისადილა მემკვიდრე პრინცის სასახლეში.

სოფია. გუშინ, ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეობის გამო, ეკლესიაში გადაიხადეს პარაკლისი; პარაკლისზე დაესწრო მთავარი ალექსანდრე, რომელსაც რუსული მუნდირი ეცვა; შემდეგ მთავარმა ნახა რუსეთის ელჩი ონინი და დღესასწაული მიულოცა. სალამოზე მთავარსა ჰქონდა გამართული დიდი ნადიმი, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ ონინი და ყველა სოფიაში მცხოვრები რუსები.

კაირი. გორდონს შეეძლებლად მიაჩნია ეგვიპტის გარნიზონების დახსნა, თუ ჯარებს თეთრი ნილოსისკენ არ გაგზავნიან.

სუაკიმი. ოსმან-დიჭმა არ ემორჩილება ინგლისელებს; აქ მოვიდა რუსეთის სამხედრო გემი და ესპანიის გემსაც მოელიან.

პარიზი. ტონკინში დაიწყო მოძრაობა ბაკნინგისაკენ; გენერალი მილიო წითელს მდინარეს გასცდა და მტერი ჯერ არსად დაჭვედრია.

ნეიუიტეტინი (პრუსიაში). გუშინწინ და გუშინ აქ ებრაელთა წინააღმდეგ უწესობა მოხდა; საბაბად გაუხდათ იმ პირთა დაბრუნება, რომელთაც აქაური ებრაული სინაგოგის დაწვა ბრალდებოდათ და რომელნიც ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს; თანჯრები ამტვრიეს, ებრაელებზე ძალადობა იხმარეს. ჯანდარმებმა აღადგინეს წესი.

განცხადებანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მოფენი მიიღებიან დილის 9 საათიდგან 1 საათამდინ.

ოთხულ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მოფეებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შიგნეულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, პლიხანოვი და ლისიცევი—10 საათიდგან 11-დე შიგნეულ ავადმყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, საფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ბორალევიჩი ორშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შიგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავადმყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით 11½ საათიდამ 12½-ამდე შიგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შიგნეული ავადმყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; ძრასნოგლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყოფობისა წამლობისთვის.

კბილის ავადმყოფობის ექიმი პოლტზონი ყოველს დროს მიიღებს თავის ეასლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |